თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №5

თბილისი, 8 სექტემბერი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 8 სექტემბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 10:08 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

– სხდომის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;

– საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;

– საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;

– საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;

– საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;

– საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;

– საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსი ბატიაშვილი;

– საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე გიორგი გამეზარდაშვილი;

– საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;

– სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

– ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;

– კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი.

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

– საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ოსაძე;

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;

– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

– თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

– თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირები:

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

– „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – შალვა პაპუაშვილი;
– „საქართველოსთვის“ – მინდია დავითაძე.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი“ (IFES) – დავით ღონღაძე;
– USAID – ნინო ბუაჩიძე;
– OSCE/ODIHR – ელისაბეტ კარაგიანიდუ, ანა კაკალაშვილი;
– ევროკავშირის წარმომადგენლობა – ლერი ხუფენია.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

– „დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი“ (ICDI) – ბექა შეწირული;
– „მწვანე დედამიწა“ – ნუგზარ მელაძე;
– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე;

– „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ – გრიგოლ გაგნიძე;

– „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ – ტატიანა (ნატალია) ხოხიაშვილი;

– „მრავალეროვანი საქართველო“ – დარეჯან გიორბელიძე;

– „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“ – მიხეილ ჭიღლაძე;

– „საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი“ – დავით ლილუაშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 10:08 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.

2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ მემორანდუმის დადების თაობაზე.

3. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მოსმენა 23 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.

4. სხვადასხვა.

სხდომის გახსნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას ამცნო, რომ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ მემორანდუმის ხელმოწერა იგეგმებოდა 8 სექტემბერს. მან სიტყვა გადასცა ზემოაღნიშნული დოკუმენტის ტექსტის ინიციატორი არასამთავრობო ორგანიზაცია „საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის“ (IFES) წარმომადგენელს, ბატონ დავით ღონღაძეს, რათა მას სხდომაზე დამსწრე პირებისათვის მოკლე ინფორმაცია მიეწოდებინა მემორანდუმის შინაარსის შესახებ.

ბატონმა დავით ღონღაძემ, ზოგადად, დადებითად შეაფასა 2010 წლიდან დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის თანახმად, ყოველი არჩევნების წინ, საარჩევნო კოდექსის ის ბუნდოვანი და საორჭოფო ნორმები, რომლებიც შეიძლება ორმაგ ინტერპრეტაციას მოიცავდეს თავის თავში, ნათლად განიმარტება საარჩევნო ადმინისტრაციასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის „IFES"-ის ხელშეწყობით გაფორმებული სამოქალაქო ურთიერთობის დოკუმენტით, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მოსაზრების ერთმანეთთან დაახლოებას. ბატონი დავითის თქმით, წინა წლების მსგავსად, ამჯერადაც ზემოაღნიშნულ მემორანდუმს შეუძლიათ შემოუერთდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო სპექტრი, ისე პოლიტიკური პარტიები.

რამდენადაც მემორანდუმის ტექსტთან დაკავშირებით კომისიის წევრი რამდენიმე უწყების წარმომადგენლებს ჰქონდათ გარკვეული შენიშვნები და კომენტარები, სხდომის თავმჯდომარემ მათ მოსაზრებების/შენიშვნების გამოთქმა სთხოვა.

საკითხთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ, ყურადღება გაამახვილა „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-12 პუნქტზე, რომელიც გულისხმობს კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხების და კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრების ან ამომრჩეველთა აღრიცხვის აკრძალვას. მისი თქმით, საარჩევნო უბნები, ძირითადად, განთავსებულია სკოლებისა და საბავშვო ბაღების შენობებში და ზემოაღნიშნული ნორმა საჭიროებს დაზუსტებას/განმარტებას, რადგან ნორმის აღსრულების კუთხით არსებობს ალბათობა, რომ შეზღუდვა შეეხოს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ტიპის შეკრებასაც (მაგ.: თავშეყრა საარჩევნო უბნებთან ახლო მანძილზე არსებულ ავტობუსის გაჩერებაზე, მაღაზიის რიგში ყოფნა და ა.შ.). იმისათვის, რომ პოლიციას არ მოუხდეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ტიპის შეკრების მონაწილეთა 2000 ლარით დაჯარიმება, ბატონმა ალექსანდრემ წამოაყენა შემოთავაზება, ზემოაღნიშნული პრობლემური ნორმა განიმარტოს და დაზუსტდეს მემორანდუმით ან სხვა რაიმე დოკუმენტით, რათა პოლიციამ რეაგირება მოახდინოს მხოლოდ ისეთ შეკრებაზე, რომელიც ხელს უშლის ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლენას ან ზეგავლენას ახდენს მასზე.

ბატონი ალექსანდრეს მოსაზრებას პრობლემური საკანონმდებლო ნორმის თაობაზე დაეთანხმნენ ბატონი დავით ღონღაძე და ცესკო-ს წარმომადგენელი, ბატონი გიორგი სანტურიანი. მათი მოსაზრებით, მემორანდუმში ამ განმარტების ასახვა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რამდენადაც მემორანდუმი შეეხება ადმინისტრაციული რესურსების საკითხს. ცესკო-ს და „IFES"-ის წარმომადგენლებმა, დამატებით, მზაობა გამოთქვეს, რომ ზემოაღნიშნულ პრობლემურ ნორმასთან დაკავშირებით გაიმართოს მსჯელობა და სხვა მემორანდუმის თუ ნებისმიერ ფორმატში შემუშავებულ იქნეს გარკვეული განმარტებები.

ამ თემასთან მიმართებით ბატონმა შალვა პაპუაშვილმა („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო") განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების გზა შესაძლოა, იყოს თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თავისი თანამშრომლებისთვის ინსტრუქციის მიცემა,

რათა მათ არჩევნების დღეს იმოქმედონ მხოლოდ კანონის ნორმის მიზნებიდან გამომდინარე და ადგილი არ ჰქონდეს საარჩევნო პროცესთან კავშირის არმქონე პირების დაჯარიმებას.

მოსაზრებების მოსმენის შემდეგ ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, რომ უწყებათაშორისი კომისიის მიერ შეიძლება შემუშავდეს რეკომენდაცია, რომელიც შექმნის პრობლემური საკანონმდებლო ნორმის სწორი ინტერპრეტირების წინაპირობას.

რაც შეეხება მემორანდუმთან დაკავშირებულ სხვა შენიშვნებს, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა მემორანდუმის სათაურში სიტყვა „აკრძალვის" დამატება, რათა ხაზგასმით აღნიშნულიყო საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის განმარტებით, რამდენადაც საარჩევნო კოდექსი, ერთი მხრივ, კრძალავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, მაგრამ, მეორე მხრივ, გარკვეულ ადმინისტრაციულ რესურსზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტიებს აწესებს პოლიტიკური პარტიებისათვის, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მემორანდუმის სათაურში არ ჩაიწერა სიტყვა „აკრძალვა", რაც დაადასტურა „IFES"-ის წარმომადგენელმაც.

მემორანდუმის შესახებ მსჯელობის დასრულების შემდეგ ბატონი თორნიკე გადავიდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე (მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ კომისიის წევრების მოსმენა).

პირველ საკითხზე სასაუბროდ („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ ოზურგეთის მერობის კანდიდატ ავთანდილ თალაკვაძის საჯარო სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლებთან შეხვედრის შესახებ საჩივრის შეტანა ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში) კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

როგორც ბატონმა გიორგიმ განაცხადა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" საჩივრის ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ შესწავლისა და ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შემდგომ დადგინდა, რომ 15 აგვისტოს, კვირა დღეს, გამართულ შეკრებას სააგიტაციო მიზნები ჰქონდა და შეხვედრაში, უმეტესწილად, მონაწილეობდნენ კერძო სამართლის სუბიექტების თანამშრომლები, რაც ვერ ექცეოდა საარჩევნო კოდექსით დადგენილ აკრძალვაში. რამდენადაც მოკვლეული მასალებით ვერ დადასტურდა სამსახურებრივი ნიშნით შეკრება, ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს არ შეუდგენია შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი, რაც გასაჩივრდა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში და ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის განხილვა.

აღნიშნულ საკითხზე ისაუბრა ბატონმა გიორგი წოწკოლაურმაც (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე). მისი თქმით, გურიაში მხოლოდ ლანჩხუთშია სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება და, შესაბამისად, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელი ოზურგეთის შეკრებაზე

ვერ იქნებოდა; ამასთან, ოზურგეთში ფუნქციონირებს მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ეპიდემიური სამსახური და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური. დღევანდელი ეპიდვითარებიდან გამომდინარე, რამდენადაც ამ უწყებების თანამშრომლები იყვნენ თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობით დაკავებული, ისინი ვერ მოხვდებოდნენ ინფორმაციაში ნახსენებ შეხვედრაზე. აქვე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამინისტრომ გადაამოწმა გავრცელებული ინფორმაცია და არცერთმა სამსახურმა არ დაადასტურა ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე მათი თანამშრომლების დასწრება.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან დაკავშირებით (ვანის მერის, ბატონი ალექსანდრე გოგორიშვილის, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა) ბატონმა თორნიკემ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" შესაბამისად, მერი წარმოადგენს პოლიტიკური თანამდებობის პირს და მასზე არ ვრცელდება სამუშაო საათებში წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის აკრძალვა. შესაბამისად, ვანის მერს უფლება ჰქონდა, სამუშაო საათებში მსგავსი ტიპის სააგიტაციო შეხვედრაში მიეღო მონაწილეობა.

შესაძლო დაშინებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე (სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები 87 პირის მიერ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის" 700 ათასამდე ლარის შეწირვა) ისაუბრეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილემ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა, ბატონმა ბესიკ ქოჩიაშვილმა, აღნიშნა, რომ აუდიტის სამსახური რეგულარულად ამოწმებს შემომწირველი პირების როგორც ფინანსურ მდგომარეობას, ისე შემოწირულობების განხორციელების კუთხით განსაზღვრულ ლიმიტებს. მედიამონიტორინგით მოპოვებულ ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აუდიტის სამსახურს პირდაპირი წვდომა არ აქვს შემომწირველთა ფინანსურ მდგომარეობაზე. შესაბამისად, უწყებამ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს ზემოაღნიშნული პირების შემოსავლების წვდომასთან დაკავშირებით და შუამდგომლობის დაკმაყოფილებისთანავე სამსახურიდან გამოითხოვენ მონაცემებს ინფორმაციაში ნახსენებ პირთა ფინანსურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ლიმიტების დარღვევის ან პირთა მიერ შესაბამისი შემოსავლებისა და ამგვარი შემოწირულობების გაკეთების შესაძლებლობის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, აუდიტის სამსახურის მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კუთხით.

ბატონმა ალექსი ბატიაშვილმა (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე) აღნიშნა, რომ ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების

ჩართვაზე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოსთვის“ შემოწირულობების გაკეთების საქმეში არ შეესაბამება სიმართლეს.

ამავე საკითხთან მიმართებით ბატონმა შალვა პაპუაშვილმა თავის კომენტარში აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ ინფორმაციას არ აქვს არანაირი საფუძველი და წარმოადგენს მანიპულაციას ერთ-ერთი მედიასაშუალების მხრიდან. მან სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მოუწოდა, რომ მედიასაშუალებით გავრცელებულ ყოველ ინფორმაციას მიუდგნენ ისე, რომ მასში მოხსენიებული ფაქტები მტკიცებულების მინიმალურ სტანდარტს მაინც აკმაყოფილებდეს.

შემდეგ ინფორმაციასთან დაკავშირებით (პოლიტიკური პარტიის „საქართველოსთვის“ წევრებისადმი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სალომე ღონღაძისადმი და ლევან თათოშვილისადმი, განხორციელებული შესაძლო მუქარა და ზეწოლა) ისაუბრა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა. სალომე ღონღაძის საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ინფორმაცია კონკრეტიკას იყო მოკლებული და, მუნიციპალიტეტიდან მოწოდებული განმარტების შესაბამისად, სალომე ღონღაძე შეუფერხებლად ასრულებს როგორც თავის სამსახურებრივ მოვალეობას, ისე პარტიულ საქმიანობას; რაც შეეხება ლევან თათოშვილს, მასზე ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა, რამდენადაც არ არის მუნიციპალიტეტის თანამშრომელი.

ზემოდასახელებულ პირთა მიმართ განხორციელებული შესაძლო ზეწოლისა და მუქარის ფაქტებს გამოეხმაურა ბატონი ალექსანდრე დარახველიძეც და აღნიშნა, რომ ამ შესაძლო შემთხვევების შესახებ მიღებული შეტყობინებების საფუძველზე უახლოეს დღეებში ამ პირებს გამოკითხვის მიზნით დაიბარებენ პოლიციაში და მათ მიმართ რაიმე დანაშაულის გამოკვეთის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

შემდეგ საკითხზე (პარტიის „საქართველოსთვის“ მხარდამჭერების სამსახურიდან შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება) ისაუბრა ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ და აღნიშნა, რომ, მისი ინფორმაციით, ლერი და მირიან ქათამაძეებმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს პოლიციის რიგები. მისი თქმით, მსგავსი ადმინისტრაციული დავები სამინისტროს ადრეც ჰქონია, როცა ყოფილი თანამშრომლები პირადი განცხადების დაწერის შემდეგ აცხადებდნენ ნების საწინააღმდეგოდ სამსახურის დატოვების თაობაზე. ამ შემთხვევაშიც, მათ შეუძლიათ, მიმართონ სასამართლოს, სადაც სამინისტრო წარმოადგენს თავის პოზიციას.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ბადრი გრიგალაშვილისადმი (ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის საერთო ოპოზიციური კანდიდატი პარტიიდან „გირჩი – მეტი თავისუფლება“) მიმდინარე სამართლებრივ დევნაზეც. ბატონი ალექსანდრეს თქმით, 2021 წლის 13 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 100^2 და 159^{10} მუხლის პირველი ნაწილით გამოვლენილ იქნა 1997 წელს დაბადებული ბადრი გრიგალაშვილი, რომელსაც თან ჰქონდა ორ ცალ პოლიეთილენის ბოთლში ჩარგული, მისივე გადმოცემით, ნარკოტიკული საშუალება კანაფი. მან მცენარის კულტივირება მოახდინა საჯაროდ და

სასამართლოს ეზოში ეწეოდა კანაფის პოპულარიზაციას და რეკლამას. მის მიმართ 2021 წლის 26 აგვისტოს შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ბატონმა ალექსანდრემ დასძინა, რომ აღნიშნული საქმე არის სასამართლოს განსჯადი და სწორედ 8 სექტემბერს უნდა გამართულიყო სასამართლო პროცესი.

შემდეგ ინფორმაციასთან (ივერთუბანში კანალიზაციის ჭების შესაძლო პოლიტიკური ნიშნით გაწმენდა) დაკავშირებით თბილისის მერიის წარმომადგენელმა, ბატონმა მამუკა ჯაყელმა, აღნიშნა, რომ საკანალიზაციო ქსელების მომსახურებას თბილისის მერიის არცერთი სამსახური არ ახორციელებს და არც კონტრაქტორები ჰყავთ. „თბილსერვის ჯგუფს" ეხება თბილისის ტერიტორიაზე მხოლოდ სანიაღვრე ქსელების გაწმენდა. პრაქტიკაში არის ფაქტებიც, როდესაც სანიაღვრეებზეა დაერთებული საკანალიზაციო ქსელები და რამდენადაც ეს წარმოადგენს დარღვევას, ამ შემთხვევაში „თბილსერვის ჯგუფი" და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) ერთად ახორციელებენ ამგვარი ქსელების ჩაჭრას და გადაერთებას.

ბატონმა გიორგი ოსაძემ (შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი) მომდევნო საკითხთან დაკავშირებით (პოლიტიკური პარტიის „საქართველოსთვის" მერობის კანდიდატ გია ცეცხლაძის განცხადება მმართველი პარტიის მერობის კანდიდატ ავთანდილ თალაკვაძისა და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ თალაკვაძის მიერ პარტიის „საქართველოსთვის" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ნონა ტუნაძის შესაძლო დაშინება) განაცხადა, რომ გია ცეცხლაძის ინფორმაცია გადაგზავნილია შესაბამის ტერიტორიულ დანაყოფში – გურიის პოლიციის დეპარტამენტში. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, აღნიშნული საკითხის შესწავლის შემდგომ შედეგები ეტაპობრივად ეცნობება კომისიას და დაინტერესებულ ადრესატებს.

ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო გამოყენებასთან („ევროპული საქართველოს" წევრ ბესიკ დონაძის მიერ მედიით გაკეთებული განცხადება ისანში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატის, მოქმედი გამგებლის, ბატონი კახა ლაბუჩიძის, მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით) მიმართებით ბატონმა გიორგი სანტურიანმა აღნიშნა, რომ ცესკო-მ ბესიკ დონაძის 31 აგვისტოს საჩივრის საფუძველზე შეისწავლა საკითხი, სადაც მითითებული იყო, რომ 4 მოქალაქე (რომლებიც შესაძლოა, ყოფილიყვნენ საჯარო მოხელეები) ეწეოდა სოციალური ქსელის მეშვეობით აგიტაციას, თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული, რომელ საჯარო დაწესებულებას მიეკუთვნებოდნენ ეს პირები. მოკვლევის პროცესის დროულად და ჯეროვნად ჩატარების მიზნით ცესკო-მ სთხოვა საჩივრის ავტორს, მიეთითებინა საჩივარში დაფიქსირებული პირების სამუშაო ადგილი. დაზუსტების შემდგომ ცესკო-მ საჩივარი პოზიციის წარმოსადგენად გადაუგზავნა ზემოდასახელებულ პირებს, რომელთაგან 3 პირი, სავარაუდოდ, დასაქმებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, 1 კი, სავარაუდოდ, არის ბაგა-ბაღის თანამშრომელი. სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაცია ცესკო-თვის ამ ეტაპისთვის უცნობია, რადგან ამ 4 პირს პოზიცია საოლქო საარჩევნო კომისიაში ჯერ არ წარმოუდგენია. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, კომისიას მომდევნო სხდომისთვის მოაწვდის სრულყოფილ ინფორმაციას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბესიკ დონაძის მიერ ამავე ინფორმაციაში გავრცელებულ საკითხთან დაკავშირებით (ისნის რაიონში სკვერების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერებში არ არის მითითებული სარეაბილიტაციო ობიექტების ზუსტი დასახელება, რაც, დონაძის თქმით, კახა ლაბუჩიძეს საშუალებას აძლევს, სკვერები ნებისმიერ ადგილას მოაწყოს და მოსახლეობისთვის გაცემულ დაპირებებს მოარგოს) ბატონმა მამუკა ჯაყელმა (თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე) აღნიშნა, რომ მოხსენიებული ტენდერი ყოველ საბიუჯეტო წელს ხორციელდება გამგეობის მიერ. მიმდინარე წელს ტენდერი გამოცხადდა ადრინდელი ტენდერების ეკონომიების საფუძველზე. ეს ტენდერები გათვალისწინებული იყო მოსახლეობის მოთხოვნით, რომელთა საფუძველზეც ეწყობა ე.წ. მინისკვერები საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ. ამ სკვერების ცალ-ცალკე ტენდერების გამოცხადება გამოიწვევდა დროში გაჭიანურებას და საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას. ამიტომ გამგეობამ ჩათვალა საჭიროდ, გამოცხადებულიყო ერთი საერთო ტენდერი.

ბატონმა გიორგი ოსაძემ ბატონი გიგი უგულავას განცხადებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე (თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აძლევს ცნობას, რომელიც ესაჭიროება საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციისთვის) აღნიშნა, რომ ზემოდასახელებული განაცხადის დაფიქსირებისთანავე მომსახურების სააგენტომ სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია და მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება. გიგი უგულავას ცნობის მოთხოვნის დღესვე გაეცა შუალედური პასუხი, რომლითაც განემარტა, რომ, თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში არ არსებობს ან ვერ იქნა მოძიებული ამ საქმის განაჩენი, დეპარტამენტი ასეთ შემთხვევაში სასამართლოსგან ითხოვს ინფორმაციას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ცნობის გაცემა პროცედურული ნაწილის გამო დაგვიანდა 1 დღით და მეორე დღეს, სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის შემდგომ, რომ სისხლის სამართლის საქმე მიმდინარე იყო, დაინტერესებულ პირზე გაცემულ იქნა ცნობა. ბატონმა გიგი უგულავამ თვითონაც განაცხადა ამის თაობაზე და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმაც გაავრცელა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

ბატონმა მამუკა ჯაყელმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტთან დაკავშირებით (პარტია „ევროპული საქართველოს" წარმომადგენელ ბესიკ დონაძის განცხადება ისნის რაიონის მოქმედი გამგებლის, არჩევნებში მმართველი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში დადანაშაულება – საარჩევნო კამპანიაში გამგეობის თანამშრომლების ჩართვა) აღნიშნა, რომ ბრალდებას უარყოფენ ისნის რაიონის გამგეობაში და აცხადებენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები სამუშაო საათებში აგიტაციას არ ეწევიან. ამასთან, ბესიკ დონაძის მიერ დასახელებულ პირებს არცერთს არ ჰქონდა სოციალურ ქსელში პოლიტიკური ხასიათის პოსტი გაზიარებული და, ბატონი მამუკას თქმით, გავრცელებულ ინფორმაციას აგიტაციასა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ყურადღება გაამახვილა მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხზე (ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ გამოქვეყნებული 2021

წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის შუალედური ანგარიში, სადაც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში რამდენიმე პრობლემური შემთხვევა აღრიცხა: ერთი ნაწილი მმართველი პარტიის მიერ საჯარო რესურსების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებას ეხებოდა, ხოლო მეორე – საჯარო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებას. საჯარო რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენება დაფიქსირდა მთავრობის ინიციატივაში სასესხო ვალდებულებების სუბსიდირებასთან მიმართებით, აგრეთვე, სახელისუფლებო ოფიციალურ გვერდებზე „ფეისბუქზე" მმართველი პარტიის მხარდამჭერ პოსტებში). მართალია, ეს ქმედებები საარჩევნო კოდექსს არ ეწინააღმდეგება, რადგან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა ჯერ იმ პერიოდში არ მოქმედებდა, მაგრამ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" პარტიის მხარდასაჭერად საჯარო რესურსის გამოყენებას ცუდ პრაქტიკად მიიჩნევს, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მოთხოვნას. სამსახურიდან გათავისუფლების საქმე შეეხება გორის მერიის ადმინისტრაციის და შესყიდვების ხელმძღვანელის მოადგილე ოლეგ ხუბულურის დისციპლინური წარმოების შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილებას, რაც, ორგანიზაციის შეფასებით, კანონშეუსაბამოა და ოპოზიციურ აზრს და მის გამოხატვას უკავშირდება. როგორც მომხსენებელმა განაცხადა, მან კომისიის წინა სხდომაზე ვრცლად ისაუბრა აღნიშნულ საკითხზე და ამ ეტაპზე დამატებით ინფორმაციას არ ფლობს.

ბატონმა შალვა პაპუაშვილმა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ანგარიშთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ანგარიში მოიცავს მიმდინარე წლის მაის-ივლისის მონაკვეთს, რომელიც არ უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს. შესაბამისად, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზე საუბარი ამ კუთხით ზედმეტია. ის ასევე შეეხო საარჩევნო კოდექსის ბოლოდროინდელ რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხს, რომელიც განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების ჩართულობით და ურთიერთშეთანხმებით აისახა წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული აკრძალვების თაობაზე ცვლილებები კანონში. ანგარიშში ნახსენებ მთავრობის ინიციატივაზე სასესხო ვალდებულებების სუბსიდირებასთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა დანიშვნისთანავე განაცხადა 100 დღეში პროგრამის წარდგენასთან დაკავშირებით, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა სხვადასხვა საკითხი და, განსაკუთრებით, ეკონომიკის აღდგენა. ბატონი შალვას თქმით, კალენდარულად ზუსტად ემთხვევა პრემიერ-მინისტრის დანიშვნიდან ზემომითითებული პროგრამის წარმოდგენის ვადა, რაც ნამდვილად არ უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს და თემის ანგარიშში მითითება მანიპულაციას წარმოადგენს.

გენერალური პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, დაადასტურა, რომ სახალხო დამცველმა 2021 წლის 31 აგვისტოს 34 პირთან დაკავშირებული საქმეები შესწავლისა და რეაგირების მიზნით მიაწოდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (ბოლო პერიოდში ათობით თანამშრომლის „დისკრიმინაციულად, პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურებიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით... მოცემულ შემთხვევაში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის – პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის ნიშნები") და აღნიშნა, რომ მისი უწყება

სწავლობს აღნიშნულ საქმეებს. სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში პროკურატურა დაიწყებს გამოძიებას.

ბატონმა გიორგი ოსაძემაც განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროშიც არის შესული სახალხო დამცველის განცხადება და მიმდინარეობს საქმის შესწავლა. დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში სამინისტროს მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

მედიაში გავრცელებულ მომდევნო ინფორმაციასთან დაკავშირებით (პარტიის „საქართველოსთვის" პოლიტსაბჭოს წევრ გიორგი გოგუაძის განცხადება, სადაც ხაზგასმულია, რომ მმართველი პარტია წინასაარჩევნოდ პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს ძალოვან უწყებებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს) ბატონმა გიორგი ოსაძემ განაცხადა, რომ ზემოხსენებულ საქმეზე გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების შემცველი ნივთიერების დათესვა/კულტივაცია). ჩხრეკა ჩატარდა ნ.წ-ს საცხოვრებელ სახლში. რაც შეეხება ჩხრეკისას განჩინების არქონას, ბატონი გიორგის თქმით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კანონით დასაშვებია, რომ გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე ჩატარდეს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა და, შესაბამისად, ამ საქმესთან მიმართებით გადაცდომას ან/და დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

მედიამონიტორინგის შემდეგი ინფორმაცია ეხებოდა თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზაზე „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" საგარეჯოს მერობის კანდიდატ ავთანდილ გულიკაშვილის საარჩევნო ბანერების გაკვრას უნებართვოდ დადგმულ დაფებზე, ნავთობისა და გაზის კორპორაციის კონსტრუქციებზე; გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატ ზურაბ უტიაშვილის საარჩევნო გარერეკლამას უნებართვოდ განთავსებას.

ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განცხადებით, საარჩევნო კანონმდებლობით განსაზღვრულია შენობა-ნაგებობები, სადაც შეიძლება სააგიტაციო მასალის გაკვრა. მისი თქმით, ავთანდილ გულიკაშვილის სააგიტაციო მასალა განთავსებულია კანონმდებლობის დაცვით, ხოლო გურჯაანის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე, ავტოგაზგასამართ სადგურთან სააგიტაციო მასალის განთავსებისთვის, გარე რეკლამის განთავსებაზე სპეციალური ნებათვა არ არის საჭირო და, შესაბამისად, მერობის კანდიდატის სააგიტაციო მასალაც გაკრულია კანონის დაცვით.

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა ისაუბრა მედიაში გავრცელებულ მომდევნო ინფორმაციაზეც, სადაც მითითებულია, რომ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვასილ ხახულაშვილმა ადგილობრივებს გზა დაუგო, სანაცვლოდ კი, მათი ხმები მოითხოვა. ამ ფაქტის ამსახველ გავრცელებულ ვიდეომასალაში აგიტატორი ადგილობრივებს მიმართავს, რომ დაპირება ხახულაშვილმა არჩევნებამდე შეასრულა და ამიტომ ის ღირსეული კანდიდატია; მმართველი პარტიის შტაბის უფროსი კი, აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და გზის საფარი არა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, არამედ ერთ-ერთმა ბიზნესმენმა დააგო. ბატონი ნიკოლოზის თქმით, ზემოაღნიშნული საკითხის მოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ამ გზის დაგება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტი არ ყოფილა – საუბარია მცირე ზომის გზის

მონაკვეთის დაგებაზე. ამასთან, მუნიციპალიტეტისთვის ასეთი მოთხოვნით არავის მიუმართავს და, შესამაბისად, მისი უწყება დანარჩენ დეტალებზე ინფორმაციას არ ფლობს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს მიმართა თხოვნით, მათი უწყება დაინტერესებულიყო საკითხით – ხომ არ იკვეთება ამ საქმესთან ამომრჩევლის მოსყიდვის ნიშნები. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ საკითხს განიხილავდა და, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვდა ინფორმაციას.

„ლელოს" წევრ საბა ბუაძის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით (სადაც მითითებულია, რომ 2020 წელს თბილისის მერიაში 674 ადამიანი უკონკურსოდ დასაქმდა, მათ პრემიებზე კი, 9 მილიონი ლარი დაიხარჯა; საკრებულოში დაინიშნა 130-მდე ადამიანი, რომელთა პრემია-დანამატებიც ბიუჯეტს 1.9 მილიონი ლარი დაუჯდა) ბატონმა მამუკა ჯაყელმა განაცხადა, რომ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს და აღნიშნა, რომ თბილისის მერიაში დასაქმებული შტატში მყოფი ნებისმიერი თანამშრომელი დანიშვნამდე გადის კონკურსს და შემდეგ ინიშნება პოზიციაზე.

ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა და ბატონმა გიორგი ოსაძემ პარტიის „საქართველოსთვის" წარმომადგენელ ნათია მეზვრიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით (ძალოვანი უწყებების მხრიდან მუქარის გამო პარტიის ათეულობით წარმომადგენელმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. კანდიდატებს სამსახურიდან გათავისუფლებით და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გავრცელებით დაემუქრნენ) აღნიშნეს, რომ მითითებულ ინფორმაციასთან ამ ეტაპისთვის მათი უწყებებისთვის განცხადება/საჩივრით არავის მიუმართავს.

თითოეულ საკითხზე უწყების პოზიციის მოსმენის შემდეგ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ კითხვები, გაეკეთებინათ კომენტარი ან/და წარმოედგინათ ინფორმაცია.

მედიამონიტორინგის მომდევნო საკითხი ეხებოდა „ევროპული საქართველოს" წარმომადგენელ გიგი წერეთლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას (თერჯოლის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელ რუსუდან კოვზირიძის მიერ პარტიასთან თანამშრომლობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მის მიმართ „შტურმი დაიწყო". პირველ ეტაპზე ე.წ. მრჩევლებმა ოპოზიციურ პარტიასთან კავშირის გაწყვეტა ურჩიეს, უარის მიღების შემდეგ კი, მასზე უკვე პოლიტიკურ დევნას მიმართეს. მისი შვებულებაში გასვლისა და კორონავირუსის დადასტურების გამო იზოლაციაში მყოფს აუდიტის სამსახური აიძულებდა დოკუმენტების გადაცემას და დაწესებულებაში მისვლას).

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 29 დეკემბრის ბრძანების (რომლითაც დამტკიცებულია აუდიტის გეგმა) შესაბამისად, 2021 წლის 9 აგვისტოს მიმართა თერჯოლის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელ რუსუდან

კოვზირიძეს და აცნობა კომპლექსური აუდიტორული შემოწმების შესახებ. ქალბატონი რუსუდან კოვზირიძე იმ პერიოდისთვის კორონავირუსის გამო იმყოფებოდა იზოლაციაში. მისი მოვალობის შემსრულებელმა ლეილა სირაძემ აუდიტის სამსახურს წარუდგინა წერილი, რომ მათი სამსახური გადასული იყო დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. ამასთან, აუდიტის სამსახურმა გააგრძელა კომუნიკაცია ცენტრის სხვა თანამშრომლებთან. 2021 წლის 6 სექტემბერს პასიური საარჩევნო უფლების გამო ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს შეუჩერდა უფლებამოსილება. ბატონი ნიკოლოზის თქმით, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური მოქმედებდა კანონის შესაბამისად და წამოყენებული ბრალდებები, რომ ის სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლდა, უსაფუძვლოა.

ბატონი ბესიკ ქოჩიაშვილის განცხადებით, ამ შემთხვევაში საუბარია მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურზე და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ საკითხთან მიმართებით არანაირი კავშირი არ აქვს.

მედიამონიტორინგის ბოლო ინფორმაცია ეხებოდა ოზურგეთის მერის მიმართ გავრცელებული ბრალდებების საკითხს (2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით მონაწილე კონსტანტინე შარაშენიძეს კორუფციაში, ნეპოტიზმში, თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით დევნასა და ძალადობაში ადანაშაულებენ და თითქოს ამჯერად ის საარჩევნო ხმების მობილიზებას მუქარის გზით ცდილობს).

ბატონი გიორგი ოსაძის განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით (ძალადობა) კ.შ-ს ს მიერ ვ.ჩ-ს მიმართ განხორციელებული ძალადობის საქმეზე. გამოიკითხნენ პირები და დათვალიერდა შემთხვევის ადგილი. ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა მედიამონიტორინგის საკითხების ამოწურვის შემდგომ კომისიის მდივანს, ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს, მიმართა, წარმოედგინა ინფორმაცია კომისიისთვის სამდივნოს ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა მანანამ განაცხადა, რომ მიმდინარე წლის 30 აგვისტოს კომისიის სამდივნოს ცხელ ხაზზე შემოვიდა პარტია „თავისუფლება – ზვიადის გზის“ მარტვილის საკრებულოს წევრ ირაკლი ქობალიას შეტყობინება. მისი ინფორმაციით, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დოშაყეში გაფორმდა კონტრაქტი და ვინმე ლაშა ქობალიას კერძო საკუთრებაში (საცხოვრებელ სახლში) იხსნება საარჩევნო უბანი, რაც ბატონ ირაკლის კანონდარღვევად მიაჩნია. როგორც ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, ზემოდასახელებული პიროვნება ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის („ევროპელი სოციალისტები“) წარმომადენელი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია. ქალბატონი მანანას განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია რეაგირებისთვის კომისიის სამდივნოს მიერ გადაიგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა აღნიშნა, რომ საკითხზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო მოკვლევა. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო უბნის გახსნა იკრძალება მხოლოდ იქ, სადაც პარტიის ოფისია განთავსებული. სოფელ დოშაყეში გასული წლის არჩევნებზე მე-16 საარჩევნო უბანი გახსნილი იყო სკოლის შენობაში. ამ სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო წელს საარჩევნო უბანი ვერ გაიხსნებოდა. ბატონი გიორგის თქმით, აუცილებელი გახდა, ზემოდასახელებულ მოქალაქესთან დადებულიყო კონტრაქტი, რომლის თანახმადაც, მის საკუთრებაში არსებულ ფართში შესაძლებელი იქნებოდა მე-16 საარჩევნო უბნის გახსნა. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. ამასთან, მითითებული ფართი ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის და ეს გარემოებაც იყო გათვალისწინებული. ბატონი გიორგის თქმით, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით კანონის დარღვევა არ დადასტურდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხის შესაბამისად, სიტყვით გამოვიდა პარტიის „საქართველოსთვის" წარმომადგენელი, ბატონი მინდია დავითაძე. მისალმების შემდეგ მან ისაუბრა პარტიის წარმომადგენლებსა და მხარდამჭერებზე, პარტიის მიერ რეგისტრირებული კანდიდატების მიმართ ბოლო პერიოდში განხორციელებული პოლიტიკური ნიშნით შესაძლო დევნის, ზეწოლისა და მუქარის ფაქტებზე. როგორც ბატონმა მინდიამ განაცხადა, არის სამსახურის დატოვების იძულების შემთხვევები, რაც ხდება მიმზანმიმართულად, სადაც ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტი. ის შეეხო დღევანდელ სხდომაზე განხილულ მედიამონიტორინგის ინფორმაციებსაც, რომლებიც მათ პარტიას ეხებოდა. მისი თქმით, ჩამოთვლილ საქმეთაგან საგამოძიებო ორგანოების მხრიდან რეაგირება ამ დრომდე არცერთს არ მოჰყოლია. მისივე თქმით, ათეულობით ასეთი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა არასამთავრობო ოგანიზაციებსა და სახალხო დამცველის აპარატს. ბატონი მინდია შეეხო მათი მხარდამჭერის ა.ბ-ს მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხსაც და აღნიშნა, რომ ამ პიროვნებას პოლიციამ იარაღი „ჩაუდო"; ხაშურის მერობის კანდიდატის და მისი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებული შესაძლო მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ, აქტუალობიდან გამომდინარე, ეს საკითხი კომისიის სხდომის დღის წესრიგში უნდა შეტანილიყო.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, ბატონი მინდიას საპასუხოდ განაცხადა, რომ მედიაში სხდომის წინა საღამოს გავრცელებული და კომისიის სამდივნოში შემოსული ინფორმაციის დამუშავება და დღის წესრიგში ჩასმა დროის სიმცირის გამო ვერ ესწრება, თუმცა, ასეთი საკითხები შესაძლებელია, კომისიის მომდევნო სხდომისთვის განიხილონ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ა.ბ-ს მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი, კომისიის მიერ წინა სხდომაზე იყო განხილული. ბატონმა თორნიკემ ბატონ მინდიას მიმართა, რომ კომისიის ეფექტურობისთვის მას ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, მიმართოს კომისიის სამდივნოს განცხადებით, ამასთან, დებულების შესაბამისად, ისარგებლებს სათათბირო ხმის უფლებით სხდომაზე დღის წესრიგის განხილვისას.

ბატონმა ალექსანდრე დარახველიძემ ა.ბ-ს საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს საკითხი უწყებათაშორისი კომისიის წინა სხდომაზე განიხილეს და მათი უწყების მხრიდან კომისიას მიეწოდა დეტალური ინფორმაცია საქმის მიმდინარეობის შესახებ. მან კვლავ აღნიშნა, რომ

ხსენებულ საქმეზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია. რაც შეეხება ამავე საქმეზე სამართალდამცველთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების საკითხს, მისი ინფორმაციით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში მიმდინარეობს გამოძიება. მედიაში გავრცელებულ სხვა ინფორმაციებთან მიმართებით, რომლებზეც ბატონი მინდია საუბრობდა, მის უწყებას მიმართა სახალხო დამცველმა და მიმდინარეობს შესწავლა, ხოლო კონკრეტული პირების მიმართვის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოჰყვება შესაბამისი რეაგირება.

ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა დაადასტურა, რომ ამავე საკითხის ირგვლივ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ნაწილში გამოძიება დაწყებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. რაც შეეხება ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატზე შესაძლო მუქარის ფაქტს, რომელზეც ბატონმა მინდიამ გაამახვილა ყურადღება, მათი უწყება დაინტერესდება და შეისწავლის კომპეტენციის ფარგლებში. ბატონი მინდიას მიერ მიმოხილულ სხვა საკითხებზეც პროკურატურას დაწყებული აქვს შესწავლა და დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში მოჰყვება სათანადო რეაგირება.

ბატონმა გიორგი გამეზარდაშვილმა (სახელმწიფო ინსპეტორის პირველი მოადგილე) ა.ბ-ს საქმეზე განაცხადა, რომ მისმა უწყებამ კომპეტენციის ფარგლებში გამოძიება დაიწყო შეტყობინებისთანავე სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ნაწილში. ჩატარდა გამოკითხვა, გამოთხოვილია ვიდოჩანაწერები და ამ ეტაპზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის და აღნიშნა, რომ კომისია შემდეგი კვირიდან გადავა ინტენსიური მუშაობის ერთკვირიან რეჟიმზე.

სხდომაზე წამოჭრილ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ და თავიანთი პოზიციები, ასევე, დააფიქსირეს შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა:

– „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ – გიგი ჩიხლაძე;
– „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) – ლელა ხათრიძე.

სხდომა დასრულდა 12:21 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე: თორნიკე ჭეიშვილი

კომისიის მდივანი: